სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/117

ქ. თბილისი 29 ივლისი 2021 წ.

მოდიფიცირული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ და სსიპ - „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2021 წლის 25 ივნისის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“, „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2021 წლის 13 მაისის №442793 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ №633096 ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სტუ-ის ხრისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, დავით მახვილაძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 23 ივნისის № 01-05-04/66 დადგენილებით დამტკიცებული მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების “მექატრონიკა” და „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი“ ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 15 სექტემბერი;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **კ. კუტუბიძე**